# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

## ბრძანება №62/ნ
## 2023 წლის 6 ივლისი

## ქ. თბილისი

**„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.017693, 12/04/2019) და ბრძანების პირველი მუხლის:

ა) ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის და ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები“ ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.“;

ბ) ,,გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის და ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები“ (დანართი №3) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი** — **გიორგი ამილახვარი**

*დანართი*

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის და ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები**

| თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადა | სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფერო კოდის მიხედვით |
|---|---|
| 2020 წ. 30 სექტემბერი - | 0511, 0512, 0531, 0532, 0533, 0541, 0542, 0588 |

| | |
|---|---|
| 2021 წ. 31 მარტი | 0911, 0912, 0913, 0915, 0916, 0919, 0923 |
| 2021 წლის 30 სექტემბერი -<br>2022 წლის 1 მაისი | 0214, 0221, 0223, 0288, 0421 |
| 2021 წლის 30 სექტემბერი - 31 დეკემბერი | 0311, 0312 |
| 2022 წ.<br>30 სექტემბერი-<br>30 ნოემბერი | 0611, 0612, 0613, 0619 |
| | 0711, 0712, 0713, 0714, 0715, 0716, 0719, 0722, 0723, 0724, 0731, 0732, 0739, 0788 |
| 2023 წ.<br>30 სექტემბერი -<br>2024 წლის 30 სექტემბერი | 0411, 0412, 0413, 0414 |
| | |
| 2024 წ.<br>30 სექტემბერი-<br>30 ნოემბერი | 0222 |
| | 0313, 0314, 0319, 0321, 0322, 0388 |
| | 1014, 1015, 1019, 1022, 1031, 1032 |
| 2025 წ.<br>30 სექტემბერი-30 ნოემბერი | 0111, 0112, 0113, 0114 (მათ შორის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა). |
| | 0211, 0212, 0213, 0215 |
| | 0231 (მათ შორის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) 0232, 0239 |
| | 0721 |
| | 0521, 0522 |
| | 0811, 0812, 0821, 0841 (მათ შორის ვეტერინარის მომზადების |

| | |
|---|---|
| | საგანმანათლებლო პროგრამა), 0888 |
| | 1041 |